სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის

ბრძანება № 113

2015 წლის 05 აგვისტო

ქ. თბილისი

2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად დაფინანდებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად დაფინანდებულმა პროექტების წარმდგენმა ფიზიკურმა პირებმა საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) 2015 წლის 6 აგვისტოდან 10 სექტემბრის 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) ანგარიშის ნომერი (გაცემული ბანკის მიერ);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სრული ასლი.

2. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება არაუგვიანეს 2015 წლის 20 სექტემბრისა.
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, თეა მჟავანაძეს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანაე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი